

2016 წლის 15 სექტემბერი

ქ.თბილისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 15 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უმღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 13 სექტემბერს უნდა გამართულიყო ჭაბუკთა „ა“ ლიგის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი პატარძელის „პატარძელი“-სა და თბ „ხულიგანა“-ს შორის. თბ „ხულიგანა“ არ გამოცხადდა თამაშზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, 3.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.11 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „არმია“-ს ჩათვალოს წაგება დააკლდეს 1 (ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და თბ „ხულიგანა“-ს დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/